ხელშეკრულება №5

<u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ</u>

ქ. ფოთი 25 იანვარი 2016 წელი

ერთის მხრივ შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევის ცენტრი", მისი დირექ-ტორი გრიგოლ რუხაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხვრივ შ.პ.ს"ალბინა" მისი დირექტორი ტატიანა მირცხულავას სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია " პრეისკურანტის და შეკვეთის შესაბამისად ფარმაცეტიული პროდუქტების(CPV33600000) გამარტივებული შესყიდვის წესით შეძენა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობებით, საქართველოს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2..1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 400(ოთხას).

3. მხარეთა ვალდებულებები

3..1 "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას სასაქონლო პრეისკურანტის შესაბა-მისად წინასწარ მოახდინოს შეკვეთა-განაცხადის წარდგენა შესაძენი საქონლის დასახელების, დოზირების და რაოდენობის მითითებით.

3..2. საქონლის მიღებისას "მიმწოდებლი" ვალდებულია "შემსყიდველის" წარმომადგენელთან ერთად შეამოწმოს საქონლის რაოდენობა, ვარგისიანობა და მიიღოს საქონელი სასაქონლო ზედნადების შესაბამისად.

4 ანგარიშსწორების წესი

4.1. "შემსყიდველი" საქონლის ღირებულებას იხდის სამუშაოს შესრულების შემდეგ.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო.

4..3 ანგარიშსწორება იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

5. ხელშეკრულების ვადა

5..1 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების დადების დღიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე

6. სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით დასტურდება მხარეთა თანხმობა წინამდებარე ხელშეკრულებაზე, მომსახურების ფასზე და ყველა იმ აქტზე რომლითაც რეგულირდება მომსახურების პირობების, ვადების და ანაზღაურების საკითხები;

6.2 მხარეთა შორის წარმოქმნილი საკითხები გადაწყდება ურთიერთ-შეთანხ-მებით. თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

6.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელიც გადაეცემა ორივე მხარეს, ყოველ ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

7. მხარეთა რეკვიზიტები:

" შემსყიდველი "	" მიმწოდებელი"
შ.პ.ს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი"	შ.პ.ს "ალბინა"
ქ. ფოთი, მიქაბერიძის №2	ქ. ფოთი, კოსტავას №22
ს/ს საქართველოს ბანკი, ქ. ფოთი	ს/ს საქართველოს ბანკი, ქ. ფოთი
საიდენტიფიკაციო კოდი: 215139348	საიდენტიფიკაციო კოდი: 215108336
მ/ა GE71BG0000000912492500	მ/ა GE80BG0000000339595400
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
დირექტორი: /გ. რუხაძე/	დირექტორი: /ტ. მირცხულავა/